# სახალხო გაზეთი

№ 1158 ხუთშაბათი, 10 აპრილი 1914 წ. № 1158

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლოპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში — 75 კაპ.**
**ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი — 7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის
„სახალხო გაზეთზე“
(სურათებიანი დამატებით)
წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.
წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.
მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

---

**მღვდ. კორნილი, მღვ. მიხეილი და კლემენტი პეტრეს ძე ელიზბარაშვილები, მარიამ პეტრეს ასული ფერაძისა, და რძალნი: ნინო, მარიამი და ბარბარე ელიზბარიშვილებისა შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 8 აპრილს თელავში გარდაიცვალა პირველთა — დედა, უკანასკნელთა — დედამთილი

**დარია აბრამის ასული ელიზბარაშვილისა.**

დაკრძალვა მოხდება თელავის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე **10 აპრილს.** 1145

---

6 აპრილს უეცრად გარდაიცვალა ფოსტა-ტელეგ. უწყების მოხელე

**ტარასი ივანეს ძე ჩინჩალაძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობებს განსვენებულის **ქვრივი ანნა გიორგის ასული ჩინჩალაძისა და შვილები: ვლადიმერი, გიორგი, მიხეილ, დავით და პეტრე.** დასაფლავება მოხდება 10 აპრილს, წაასვენებენ დილის 9 საათზე, ბინიდან (დუშეთის შესახვ., მესამე ნომერი), სამების ეკლესიაში, წირვის შემდეგ დაკრძალავენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. 234

---

**თამარი დიმიტრის ასული, მარიამ და მაგდალინე სვიმონის ასულნი, და ვასილ ანდრიას ძე მჭედლიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველი — ძვირფასი მეუღლის, მეორენი — მამისა და მესამე — ბიძის

**სვიმონ მოსეს ძე მჭედლიძისა.**

მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს, 10 აპრილს, დილის 9 საათზე, (მალაკანის ქუჩა № 5, საკ. სახლი), ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის შემდეგ წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. 233

---

ტელეფ. ქართული თეატრი № 795.

პარასკ., 11 აპრილს, 1914 წ. ქართ. დრ. საზოგ. დასის მიერ წარ. იქნება:

## სამეგრელოს მთავარი ლევან,

ისტ. დრამა 5 მოქ., ვ. ყიფიანისა.
**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**
ადგილ. ფასი ჩვეულებრივი. ✦ დასაწყ. საღ. 8-ნახევარ საათზე.
ადმ. ქ. დრ. საზ. გამ. ✦ რეჟის. ვ. შალიკაშვილი.

---

ანონსი ქართული თეატრი ანონსი

**ოთხშაბათს, 23 აპრილს 1914 წ. გაიმართება**

## გრიშაშვილის საღამო

**ხუთ განყოფილებად.**

1) ლექცია, 2) დივერტისმენტი, 3) ოპერეტკა ქართულად, 4) შარჟი „ალატიდან“, 5) საკონცერტო განყოფილება. დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზე; ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ამ თავითვე იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

---

## დიდი ცირკი ფ. ა. სუპატოვისა

**მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.**
ხუთშაბ., 10 აპრილს, შესდგება დიდებული

### ცხენოსან-გიმნასტების წარმოდგენა.

მთელის ტრუპის მონაწილეობით. დღეს მონაწილეობენ: მეტოქეობის გარეშე მყოფი თანამედროვე ყოველ-დღიურ პირ-ვარამის ექსცენტრიკები ბ.ბ. როზეტი, განთქმული პარტერის ჯამბაზები როსსინის ოჯახობა, რომელნიც შეასრულებენ სულ ახალ ნომრებს, რომელიც ტფილისში ჯერ არავის უჩვენებია; მხიარულ გუნების შემქმნელი ბუფორიადა ბ-ნი მიტსონი, დერბი-ჟოკე ბ-ნი ანდრიანოვი, კარ-დე-ბალეტი დაჯილდოვებულ პრიმა ბალერინის, ქ-ნ ელენე იუპატოვის ხელმძღვანელობით. ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 235

---

**ელექტრონის, რენტგენის, სინათლის**

## სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ჟორდანიის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

---

ახლად გაიხსნა
სასტუმრო სასადილო

## „სინათლე“

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.
ყოფილი „სიცილია“ და „არარატი“
1077 პატ. ცემით ძმ. ხილაშვილები იგივე „ქოსები“.

---

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 605)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი** — ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
**მინასოვი** — ქირურგი, 11—12 საათამდე.
**პაპოვი** — ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
**ციციშვილი** — შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
**ექ. ქალი იოსელიანი** — ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი** — შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.
**ვაშაკიძე** — შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
**რჩევის საფასური — 50 კაპ.**
**წამლობა „914“ და „606“.** 1023

---

გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანდუკიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
**ბრიუსკინი მ. ზ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
**ვინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.**
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა. **წამლობა „606“, „914“.** 1088

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვირაშვილი ა. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ზ. ნ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12.<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ზ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2.<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ., ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და შიგნების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. 1070

---

## მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის

## კ უ რ ს ე ბ ი

(თეორეტიული და პრაქტიკული),

**კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან**, მომავალ აპრილის 15-დან გაიხსნება და ივნისის 1-ლ გასტანს. კურსები უფასოა. მსურველთ კურსებზე ჩაწერა შეუძლიათ სააბრეშუმო სადგურის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 11—12 საათამდე. ცნობების მისაღებად შეიძლება მიმართონ სააბრეშუმო სადგურს პირადად და წერილობითაც. 1122

---

## დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

# ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია ყველა დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ლექსები.
ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი იყიდება — ქ. შ. წ. კ. გ. წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა) და კიკნაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. რცხილაძესთან, ოლღას შესახვ. № 5. 1141

---

საბავშვო სათამაშო

## მწერალთა ოთხი

შედგენილი და გამოცემული თამარ თაქთაქიშვილის მიერ
იყიდება ი. ყიკნაძის წიგნის მაღაზიაში „НОВАЯ РѢЧЬ“ გოლოვინის პრ. № 22 სახაზინო თეატრის პირდაპირ. **წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში** ქართული თეატრის ეზოში. **მერკვილაძის** მაღაზიაში, გიორგიევის ქ. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ქუთაისში მღებრიშვილისა და ოცხელის მაღაზიებში. 1130

---

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

**ჩვენი მწერლობა.**

| | |
|---|---|
| ბუქნიკ. ილიას ნაწერები, | ფასი 1 მ. |
| ხუნდაძე სილოვან. ლექსები, ქ. 1902, | 50 კ. |
| — მეზობლები და თოთოლას სიზმარი, ბ. 1899 წ. | 5 „ |
| — ჩემი აზრი და ფიქრები, ნაწ. 1-ლი, ქ. 1901. | 20 „ |
| — ცხოვრების სურათები. ჩემი აზრი და ფიქრები, მე-2-ე ნაწ. 1902. | 20 „ |
| — სიმღერი, ქუთ. 1894. | 5 „ |
| ქართ. ლიტერატურის სახელმძღვანელო, ნიკ. ბარათაშვილი, | 15 „ |
| ხუსკივაძე. თხზულებანი, | 30 „ |
| — ეკატერინე ბატონიშვილი, 1895, | 5 „ |
| ფანცხავა. თხზულებანი, ფოთ. 190[illegible], | 1 მ. — |
| ხევის-უბნელი. ცხენის წურბელა, მოთხრობა ჩვენი ცხოვრებიდან, | 15 „ |
| შ. ნშიაშვილი. შვების თავადი, | 60 „ |
| — სულამილი ლირიკ. პოემა, ტ. 1909, | 10 „ |
| ჩარხიშვილი. ცხოვრება და სიყვარული, ტ. 1904, | 40 „ |
| — ლექსები და პოემები, ტფ. 1903, | 15 „ |
| სალიტერატურო კრებული „გრდემლი“, 1-ლი ტ., ტფ. 1912. | 1 მ. 50 „ |
| იგივე მე-2-ე, 1912. | 1—50 „ |
| **ახალი წიგნები:** | |
| ა. ჯორჯაძის მეხუთე წიგნი | 1 მ. |
| ვეფხის ტყაოს., ს. კაკაბაძის გამოც. | 2—50 „ |
| დ. ჯანაშვილი. 1) ქართულ ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან, 2) ქართველი ქალები, | 75 „ |
| ეკ. გაბაშვილი. ღვინია გადაიჩება, საყმაწვილო მოთხრობა. | 5 „ |

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. ср. гр. нас. 1072

---

## სანატორიუმი

## „რუსული დავოსი“,

**აბასთუმანში.**

**გულხუსტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის.** საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთელით და სხვა თვეში 150—250 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეზრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ.,** № 23. 1 მაისს შემდეგ — აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ.
**ტელეფონი № 7—92.** 1087

---

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სიმონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე** [illegible], თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

---

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, Магазинная, № 50.
1084

---

ქ. გ ო რ შ ი

## ექიმი მ. დ. წინამძღვარიშვილი

(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—3 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ.
1050

---

## ექიმი ქ-ნ სოფიო მამრაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება **ქალთა სნეულებით, სამშობიარო (გინეკოლოგიური), და საბებით.**

ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1-დან 2 საათამდე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

---

## ექიმი ს. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, **აქვს გამართული ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

---

## ექიმი ქალი ნინო რცხილაძე.

**გადმოვიდა** მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

---

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმთა საზოგადოების
სამკურნალო
მუდმივ ხაწოლებით.
(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.
ტელეფ. № 1026.
ავადმყოფების მიღება:
აბაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.
ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.
კიმონტი მ. ა.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.
სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა, რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.
შეხაპუნება „914“, „606“. 1040

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
აბულაძიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბულანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ავადმყ. ყოველ-დღე 11—12 ს.
შამაშა, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ასმოლოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თუმანოვი. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კოლომბიროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. ოთხმეზოვა. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1682

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ.-სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სადურგანყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **„სახალხო გაზეთის“ სააღდგომო ნომერი, საცენზურო კომიტეტის განკარგულებით დაიჭირეს.**

◆ **ქალაქ-ს მოურავი** ა. ი. ხატისოვი თვის თანამდებობის აღსრულებას აპრილის ბოლოს შეუდგება. ზაფხულში სამის თვით დასასვენებლად წავა. ამას გარდა ზაფხულში დასასვენებლად წავლენ: ქალაქის მოურავის მოადგილე თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ორის თვით, ხოლო გამგეობის წევრნი გ. დ. ჟურული და მ. ნ. ათაბეგოვი—თითო თვით.

◆ **გაზეთების აკრძალვა.** ტფილისში აკრძალეს გაზეთების „ფიკრი“-სა და „ნოვოე დელო“-ს 7 აპრილის ნომრები.

◆ **რედაქციამ ვარშავიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ვულოცავთ 35 წლის არსებობას და მხურვალე გულით ვუსურვებთ წარმატებას. ვარშავაში არსებული ქართველთა სამეცნიერო წრე არჩილ ჯორჯაძის სახელობისა“.

◆ **მეფის მოადგილის თანაშემწე** გოფმეისტერი პეტერსონი ბათომს გაემგზავრა.

◆ **დოღი** გუშინ, 9 აპრილს, დიდუბის საჯარითო მოედანზე დოღი დაიწყო მიუხედავად ცუდი ამინდისა.

**მამადავითის ეკლესიის მნათედ** ეგზარხოსმა დაამტკიცა თავ. რევაზ ერისთავი.

◆ სალიტერატურო დილა, 9 აპრილს სახალხო სახლში რომ იყო დანიშნული, სხვა და სხვა მიზეზების გამო გადაიდო 23 აპრილისთვის.

◆ **ფრინველთა გამოფენა.** 7 აპრილს „ტფ. კრუჟოკ“-ის საზაფხულო სადგომში ფრინველთა გამოფენა-ბაზარი გაიხსნა. ხალხი გამოფენას ბლომად ესწრება.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი **„ნაკადული“** (№ 6) შემდეგის შინაარსით: პატარა იესო ცხოველთა შორის,—სურათი. ნაკადულის მკითხველები,—(სურათები)—1. ბიძინა მერკვილაძე—ტფილისი—2. ანნა და ოლღა ლომსაძენი.—სოფ. წიფა—3. შალვა, მიშა და ნიკუშა ოდიშარიები,—ერევანი—4. თინა ქვარიანი—ქუთაისი. გაზაფხული,—მ. იმნაძისა, მეგობრები,—ლეო ქიაჩელისა, გიგლა და მურია,—ლექსი ბ. ახოსპირელისა, სამართლიანი მეფე,—(თარგმანი) ნ.—ისა, გულ-გაუტეხელი მგოსანი ჰინჰრაკა,—ივანე ელიაშვილისა, ლომი და ვირი,—ეზოპოსიდან) ა. შანშიაშვილისა. მკითხველის წერილები, გასართობი: 1) თითები,—(ხალხში გაგონილი) მ. იმნაძისა.—2) რებუსი და ახსნა.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი **„ჯეჯილი“** (№ 3) შემდეგის შინაარსით: სურათი: დახეთ, რა მხიარულობაა! რა ხანია ვყვირი, ქალო! ლექსი შიო მღვიმელისა, გაბედული მონადირე, რა იყო და რა გახდა, იტასი, ქურქის ამბავი, ტასოსი, ჯუჯებთან სტუმრად (ინგლისური ზღაპარი) თარგმანი ან. წერეთლისა, დილა (გიორგი წერეთლის სახსოვრად) ლექსი გ. ქუჩიშვილისა, ბეკეკა, თარგმანი ანიკოსი, წვრილმანი: გამოცანები, საპასუხო კითხვები, უჯრების გამოცანა, თამაშობა, რებუსი და სხვა; სამშობლოში, ლექსი ვ. გორგაძისა, თეთრი არწივი (თარგმანი) ვანო საათაშვილისა, ჩრდილოეთის ელვარება ალ. ქიქინაძისა, წერილების და ფოსტის გაგზავნ-გამოგზავნის ისტორია ბერლინისა (დასასრული) ალ. ფაღავასი, ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი) დასასრული შემდეგ ნომერში, მეფე ირაკლის მასპინძელი (ძველებური ამბავი).

## საზოგადოებანი და კრებები

◆ ტფ. საკომერციო ბანკის აქციონერთა კრება 8 დეკემბერს მოხდა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა ბანკის 1913 წლის მოქმედების ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, შემდეგი სჩანს: ბანკის საერთო წარმოება საანგარიშო წელს ტფილისსა და განყოფილებაში უდრიდა 1.996.534,304 მან. 50 კაპ. და წმინდა მოგება ბანკს დარჩენია 709,057 მან. 76 კაპ. კრებაზე არჩეულ იქმნა ბანკის საბჭოს ხუთი წევრი: მ. ს. შახ-პარონიანცი, ქ. ტ. აფრიკიანი, ა. ნ. ქალანთაროვი, ი. მ. ხარაევი და ო. ქ. ოსიპოვი.

## ოზურგეთი

◆ სამწუხარო ხმები დადის ოზურგეთში. მეოთხე თვე მიდის, რაც ქალაქის თვითმართველობამ აფთიაქი გახსნა და ძლიერ კარგათაც მიდიოდა საქმე. ამ ხნის განმავლობაში დღეში ორთაშუა რიცხვით 50 მანეთამდე ვაჭრობდა. ახლა ხმები გავრცელდა, რომ იმ ქალაქებს, სადაც სარტივი სამოქალაქო დებულებაა, უფლება არა აქვთ განცხადებითი წესით გახსნან აფთიაქი და ამიტომ ოზურგეთის ქალაქის აფთიაქსაც დახურვა მოელისო. თვითმართველობას უკვე შეეკითხა მცოდნე პირებს, მართლა არის თუ არა სენატის ასეთი განმარტებაო, რომელთაგან პასუხი ჯერ არ მოსულიათ. თუ ეს ცნობები მართალი გამოდგა, ქალაქის უმისოთაც გაჭირვებულ ბიუჯეტს 20000 მან. ზარალი მოელის.

◆ აქ ჩამოვიდა წ. კ. განყოფილებათა მეთვალყურე ბ. გ. ბურჭულაძე, რომლის ხელმძღვანელობითაც ადგილობრივ ინტელიგენტთა კრება მოხდება 29 ამ თვეს ადგილობრივ განყოფილების დაარსების შესახებ.

◆ 22 მარტს ადგილობრივ სცენის მოყვარეთ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა. ითამაშეს ოთხმოქმედებიანი პიესა „იუდას ამბორი“ და ვოდევილი „ტიმოთეს ლედვი“. წმინდა შემოსავალი დარჩა 50 მანეთამდი.

## კავკავი

◆ **ფრენა.** მარტის 30-ს, იფრინა გამოჩენილმა ავიატორმა არუთიუნოვმა. ხალხი ფრენას ძლიერ ბევრი დაესწრო ავიატორმა იფრინა—20 წამი; ორმოცდაათი ადლის სიმაღლეზე ორი დიდი წრე გააკეთა და მშვიდობით დაეშვა ძირს. ხალხი ტაშისცემით შეხვდა.

◆ აქაურმა სცენის მოყვარეთა წრემ **არჩილ ჯორჯაძის** წლის თავის შესრულების დღეს წარმოდგენა გამართა.

◆ შაბათს, აპრილის 12-ს, აქაურ ქართულ თეატრის დარბაზში ადგილობრივი ქართველ ქალთა წრის თაოსნობით გაიმართება **ქართული საღამო** ქალთა პროფესიონალურ სკოლის საშუალებათა გასაძლიერებლად.

## სოფლად.

◆ **ს. ყვარელი** (კახეთი) როგორც გაზეთებიდან სჩანს მთელი ჩვენი საზოგადოება გულმხურვალეთ ეკიდება ილიას სახლის გამოსყიდვის აზრს ტფილისში და მალე სამყოფს ფულსაც შეაგროვებენ. არა ნაკლებ, თუ უფრო უმეტესი ყურადღების ღირსია ის სახლიც ს. ყვარელში, სადაც დაიბადა ჩვენი დიდებული მგოსანი. ეხლა იქ არის მოთავსებული ძალიან ღარიბი სამკითხველო, რომელიც ინახება ყვარლის მცირე რიცხოვან ინტელიგენციის საწევრო გადასახადით. ახალმა კლუბმა შემოსწირა 400 მან. ამ შენობის შესაკეთებლად, მაგრამ ეს ფული არ ეყოფა, რომ კარგად გადაკეთდეს შენობა; ეზო ხომ ისეა გაშარავებული, რომ ილიას საკუთარი ხელით დარგული ხეხილი სულ გაფუჭებულია. მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას სასურველია რაიმე ღონე გამონახონ და ყვარლის სახლ-კარიც ისე შეაკეთონ, როგორც უნდა იყოს შეკეთებული დიდებული ჩვენი ილიას აკვანი.

# არჩილის გარდაცვალების დღე მოსკოვში

ერთმა წელმა განვლო, რაც მოგვტაცა შეუბრალებელმა განგებამ ჩვენი არჩილი; ერთმა წელმა განვლო, რაც ჩაწყდა მისი ცოცხალი ხმა, მაგრამ იგი ხმა მას შემდეგ უფრო ძლიერად და მძლავრად გაისმის ჩვენს შორის. 21 მარტს, ამ ჩვენთვის დაუვიწყარ დღის აღსანიშნავად, შევიყარენით უნივერსიტეტის ქართველი მოსწავლენი ი. ჭ—ის სახელობაზე არსებულ კულტურულ წრეში. სხდომა გახსნა ბ. ა. ჯავახიშვილმა. პირველი მოხსენება წაიკითხა ბ. ბეგაფაღავამ.

მომხსენებელმა გააცნო მოკლეთ მსმენელთ არჩილის ბიოგრაფია; მოკლეთვე დახასიათა მისი პიროვნება და დაათავა: „ასეთი ძლიერი და დიდსულოვანი პიროვნებანი მხოლოდ საუკუნოებით იბადებიან და რაც მეტი დრო გავა საზოგადოება მეტად შეიგნებს და მეტად შეიყვარებს თავის წარსულის დიდებულთო“.

ბ. ტ. ტაბიძემ წაიკითხა მოხსენება არ. ჯორჯაძე—პუბლიცისტი. მან გაარკვია სოც.-პოლიტიკური პროგრამა განსვენებულისა, მისი ნაწერების მიხედვით.

მოხსენებას რეფერენტმა წაუმძღვარა ისტორიული მიმოხილვა მეცხრამეტე საუკუნის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებისა. მან გაარჩია ორი დიდი ნაკადი, ორი მხარე წარსულ საუკუნის ინტელიგენციის აზროვნებაში: ერთის მხრით მესამოციანეთაგან დაწყებული მძლავრი ნაკადი ეროვნულ იდეიასა, რომელმაც ფართოთ გაიდგა ფესვები მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენციის აზროვნებაში. მეორეს მხრივ მეოთხმოცდაათე წლებში ჩასახული ნაკადი ცალმხრივ სოციალისტურ იდეისა, რომელმაც, უკიდურესობამდე მისულმა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულებში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, სავსებით უარყო პირველის ძალა და მნიშვნელობა.

არჩილმა ღრმად შეიგნო წარსულ საუკუნის ორივ ნაკადთა ცალმხრივობა, რომელიც სამკვიდროდ გადმოეცა მეოცე საუკუნეს. ის იმ პიროვნებათაგანია, რომელმაც მოახდინა მძლავრი და მჭიდრო ჰარმონიული სინტეზი ორივ მიმდინარეობათა და მით დაგვირგვინა მეცხრამეტე საუკუნის ს.-პოლიტიკური აზროვნება. იგი სინტეზი და შეთანხმება განუყოფელ იდეის ნაწილებისა საფუძვლათ დაუდო მეოცე საუკუნის ქართველთა აზროვნებას. მან მოგვცა ხელში ჩამოყალიბებული სოც.-პოლიტიკური ფორმულები, რომელთა განხორციელების საკითხი, საკითხია ჩვენი ყოფნა არ ყოფნისა და რომელთა ხორცსხმულობა საფუძვლად უნდა დაედოს არსებობას და წარმატებას ქართველი ერისას.

ასეთი იყო მთავარი აზრი ბ. ტაბიძის მოხსენებისა. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე მარქსიზმის განმარტებაზე. არჩილსა და ჟორდანიას შორის არსებულ საპოლემიკო წერილებზე და სხვა საკითხებზეც, რომელთა შინაარს აქ არ მოვიხსენიებ. რეფერენტს ეტყობოდა საკმარისად უმუშავნია; მან საკმაოთ გააშუქა ეს ფრიად რთული თემა, რისთვისაც მადლობის ღირსია.

მოხდენილი და ფრიად შინაარსიანი იყო უკანასკნელი მოხსენება ბ. გ. ვეშაპიძისა: ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი. მან სავსებით გაარკვია და ნათელჰყო ჩვენთვის ეს მხარე განსვენებულის ნაწერებისა.

მანაც წაუმძღვარა თავის მოხსენებას ისტორიული მიმოხილვა ქართველთა ფილოსოფიურ აზროვნებისა. მომხსენებელმა დაარღვია ის უსაფუძვლო აზრი, ქართულ საზოგადოებაში უკანასკნელ ხანებში არსებული, ვითომც ქართველთათვის შეუძლო და მიუწდომელი იყოს ხელოვნების და ფილოსოფიურ-რელიგიური პრობლემათა სფეროში აზროვნება და მწერლობა. მან ისტორიულათ დაამტკიცა ჩვენი სიძლიერე ამ პრობლემათა შესახებ აზროვნებაში, მოიხსენია-რა შოთას პოემაში გაბნეული ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიური აზრნი, ფილოსოფოსი პეტრიწი, ეფრემ მცირი, ანტონ კათალიკოზი და სხვა ფილოსოფოს მწერალნი ჩვენი წარსულისა, რომელთაც უმრავლესობა ჩვენი „განათლებულ“ ინტელიგენციისა ვერც კი იცნობ შემდეგ აღნიშნა, რომ ქართველობა მოწყდა-რა თვის ბრწყინვალე წარსულს, მან გასწყვიტა შემაერთებელი ძაფები ძველ მწერლობასა და ფილოსოფიასთან და დღეს შეუძლოთ გვეჩვენება ის, რაც წინად ცხადი და ძლევა-მოსილი იყო.

დღეს აღორძინების დრო დადგა; გვინდა გაწყვეტილ ძაფებთან კავშირი განვაახლოთ და ამ ფრიად სასურველ მოვლენას არ. ჯორჯაძემ ჩაუყარა მკვიდრი და შეურყეველი საფუძველი.

მაგრამ რაც დასწერა, რაც დაგვიტოვაო, დაასრულა რეფერენტმა იგიც ძვირფასი და დაუფასებელი განძია ჩვენს მწერლობაში და სანამ ქართველი იარსებებს, მის გულში არჩილის სურათი სათაყვანებელ ხატებად იქნება მუდამ და მარადისო.

დასრულდა სხდომა ბ. ა. ჯავახიშვილის გრძნობიარე მოკლე სიტყვით, რომელმაც ბოლოს დიდი მადლობა უძღვნა მომხსენებელთ.

დასასრულ დარიგდა ამხანაგებში წინდაწინვე დამზადებული არჩილის სურათები, რომლის შემდეგ ჩუმის და ნაღვლიანის სახით დავიშალენით.

**ინ—ნახი.**

# დასელის აზრი ტერიტორიის საკითხზე

„ბათომის გაზეთში“ (№ 27) ბ-ნი ნ. ბ—ძე სწერს:

„სიმართლის ხმამ“ სამი წერილი უძღვნა ტერიტორიის საკითხს, მოკლედ, სქემატიურად და დოგმატიურად შეეხო საგანს და ბოლოში მედიდურად მოუწოდა ნაციონალისტებს,—მოდით, დაარღვიეთ ჩემი დებულებანიო. წერილების ავტორი ალბად ფიქრობს და დარწმუნებუ-

---

# ბარათები ხელოვნებაზე

(უცნობ მეგობარს).

4.

### ერის სული შემოქმედებაში.

ხელოვნების ევოლიუცია გვასწავლის, რომ მისი გზა საერთო და ზოგად ხასიათს ჰკარგავს და ინდივიდუალურ იერს იკრავს.

მისი მსვლელობა ორის მხრით განიცდის დიფერენციაციას და რამდენადაც ინტენსიურია ეს ორმაგი დიფერენციაცია, იმდენად სწრაფად ვითარდება შემოქმედებაც. პირველი სახის დიფერენციაცია წარმოდგენილია სინტეტიურ ხელოვნების დარღვევა-დანაწილებისაგან.

ხელოვნების ისტორია გვასწავლის, რომ ცეკვა მჭიდროდ დაკავშირებული იყო მუსიკასთან და სიმღერასთან, ხოლო მუსიკა პოეზიასთან. მეორეს მხრით ხუროთმოძღვრება პირველ საფეხურზე განუშორებელი იყო ქანდაკებისაგან და მხატვრობისაგან. თითქოს თვითოეული აქ ორგანიული ნაწილია დანარჩენთა და, ამის გამო, მათგან გამოუყოფელი.

ასეთი მთლიანი იყო ელინთა შესანიშნავი ხელოვნება, რომელსაც იტევდა ძველ ბერძენთა ხალისიანი და მთლიანი, ჰარმონიულად დამთავრებული პიროვნება.

⁂

მაგრამ გადის დრო; პიროვნების მთლიანობა ირღვევა საზოგადოებრივ მთლიანობასთან ერთად და ეს რღვევა თვით ხელოვნებაზეც გადადის დიფერენციაციის სახით. მუსიკა ჰშორდება პლასტიკას და ორივენი სცილდებიან პოეზიას; თვითოეული ამათგანი ვითარდება დამოუკიდებლად და სათითაოდაც განიცდიან იმავ დიფერენციაციას.

მუსიკა მიდის სასულიერო და საერო გზით, პოეზია ვითარდება ეპიურის, დრამატიულის და ლირიულის სახით და სხვ. ასევე მოსდის მხატვრობასა და სკულპტურას, რომელნიც ხუროთმოძღვრების გარეშე ანვითარებენ თვის ავტონომიურ ბუნებას.

⁂

მეორეს მხრით თვითონ იდეა ხელოვნებისა, მისი ფილოსოფიური მხარეც ზოგადობას ჰკარგავს და საერთოდან ინდივიდუალურზე გადადის.

პირველ საფეხურზე იგი იმდენად პრიმიტიული და სადაა, რომ ყოველ ერისათვის და კერძოდ ყოველ საზოგადოებრივ კლასისათვის ერთნაირად ძვირფასი და მისაღებია.

მაგრამ გადის დრო და შემოქმედება ამ ზოგად ელემენტებიდან ინდივიდუალურზე გადადის და ამა თუ იმ კლასს უფრო ენათესავება მისი ძირითადი მოტივები, მისი იდეა.

შემდეგ იგი უფრო განსხვავებულ სახეს იღებს და მასში ზოგად მოტივთან აშკარადა ჰხანს ამა თუ იმ ერის სულიერი სწრაფვა, მისი იდეალები. არც ერთ ამ შემთხვევებში ჭეშმარიტი ხელოვნება ნაძალადევი არ არის, იგი უბრალო იარაღი არ არის ამა თუ იმ საზოგადოებრივ იდეათა განსამტკიცებლად; მაგრამ ყოველი შემოქმედება ისტორიულ სიმწვავის მომენტებში განსაკუთრებით ატარებს საუკეთესო მისწრაფებას ამა თუ იმ ერთეულისას, რომელსაც ხელოვანი ეკუთვნის.

⁂

ეროვნული საკითხი და მისი მხარეც ინდივიდუალიზმის საკითხია იმდენად, რამდენადაც იგი ერის თვითარსებობას, მის თავისებურობას იცავს და ამ ინდივიდუალურ თვისებათა ჰარმონიულ განვითარებისათვის გზუნდრუკს უკმევს ერის თავისუფლების იდეას.

ხელოვნებამ ეს ეტაპიც უნდა გაიაროს. და მან გაიარა კიდეც, რამდენიმედ. ამის შემდგომ მის წინ სდგას პიროვნება ობიექტიურ და ზოგად შეზღუდვას მოკლებული, საერთო და საერო მონობისაგან განთავისუფლებული... ეს პიროვნება უკვე თავის-თავად დამთავრებული ინდივიდუალობაა.

მის ყოველ-მხრივ ზრდას და ჰარმონიულ განვითარებას, მის სულიერ საღაროს გახსნას ემსახურება ამ დროს ხელოვნებაც. დროებითსა და წარმავალ საჭირ-ბოროტო კითხვათაგან განთავისუფლებული, პიროვნება იჭრება მარადისობის წიაღში, სულის საკითხში, რელიგიურ და მისტიურ სფეროში. აქ ხშირად მეცნიერება და მისი მეთოდები უძლურნი არიან, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერია ამ ბუნების ძალთა საიდუმლოების გარდაშლაში ხელოვნება. ხელოვანი ინტუიციით განიცდის იმ ქვეყნიურობას და იგი, სავსებით განთავისუფლებული ამ ქვეყნიურ ბორკილებისაგან, ლაღად და თავისუფლად ნავარდობს იმა ქვეყნის წიაღში. მისი პიროვნება ხელოვნურად განიცდის მსოფლიოს სიცოცხლეს და ინდივიდუალურ განცდას ინდივიდუალურსავე შემოქმედებაში ამჟღავნებს.

⁂

ასეთ კითხვებზე დღემდისაც მრავალ-ჯერ შემდგარან ხელოვანნი, მაგრამ რამდენადაც აქ სუსტი იყო მათი ფანტაზია და ზოგად თვისებათა მატარებელი ეს იდეალი, იმდენად ძლიერი და ინდივიდუალური გახდება იგი მომავალში, როცა კაცობრიობა თვის მიზანს მიაღწევს და ამ ქვეყნიურ ჩაგვრასა და მონობას საუკუნოდ ბოლოს მოუღებს... როცა სამუდამოდ ბოლოს მოუღებს...

რა კარგია და მრავალმნიშვნელოვანი ეს სიტყვები, მაგრამ ვაი, რომ ჯერ კიდევ შორს არის ჩვენგან იგი ნეტარი დღე.

ხოლო აწმყოში საშინელი დევნა, მახინჯი ომი მახინჯის საშუალებებით და საშინელი მონობა პიროვნების, კლასის და ერის.

და ეს ბინძური ცხოვრება თვის ტლანქ, ჭუჭყიან ხელებს ერთად-ერთ წმინდათა წმინდა ხელოვნების ტაძრისაკენ აშვერს და ჰსურს ისიც მარტოოდენ სადღეისო ჩაგვრა მონობის და დევნის იარაღად აქციოს.

მაგრამ წმინდაა იგი ტაძარი; თუ ოდესმე მის ქურუმთა ხმა ჩასწვდა დღეის მახინჯებს მათი სული მშვიდობას დაჰკარგავს, იქ სიყვარულის ცეცხლი დამკვიდრდება და თვისის ალით ვნებათ აანთებს ადამიანის წმინდა გრძნობებს და აზრებს.

⁂

ჭეშმარიტი ხელოვნება უწმინდესი რელიგიაა, რომელიც ყოველ მშრალ დოგმატიურ ელემენტებისაგან ჩამოშორებულია და რომელიც აბსოლიუტურ თავისუფლებისაკენ იწევს მუდამ.

ამიტომ ყოველი მონობა მისთვის საზიზღარი და უარსაყოფია.

მას სწყურია ყოველმა ინდივიდუალობამ თვის ლამაზსა და ნათელ გრძნობებს გზა-ხსნილი მისცეს და ორიგინალურ ფორმაში ჩამოასხას თვისი საუკეთესო ზრახვანი.

ამიტომ იგი ყველაზე უფრო მეტი მტერია მონობისა და ყველაზე უფრო აშკარა მსახური თავისუფალი სიყვარულისა.

⁂

დღეის ყოფაში ეროვნული დევნა და ჩაგვრა ყველასათვის აშკარა გამხდარა.

არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა ვითარებათა გამო შეუძლებელი გამხდარა ერთი იმ სოლიდარობის და სიყვარულის იდეის განმტკიცება სინამდვილეში, რომელიც აბსტრაქციაში საანბანო ჭეშმარიტებად უღიარებიათ და მიუღიათ.

⁂

თვითეული ჩვენგანი განიცდის ამ მძიმე უღელს ეროვნულ დევნისას და აშკარად ხედავს, რომ თვით ევროპის კონსტიტუციონალურ სახელმწიფოებშიაც ვერ მოუპოვებიათ შვება ებრაელთ და ანტისემიტიზმი თანდისთან ძლიერდება.

ეს გზა ყოველ ჩვენგანს აშინებს და ჩვენ ვცდილობთ შევინარჩუნოთ საკუთარი ტერიტორია და ეროვნულ-კულტურულ ზრდას ვემსახუროთ, მაგრამ...

მაგრამ ამ ჩვენს მთლიან ინდივიდუალობას დარღვევა მოელის; დარღვევა არა ორგანიულის განვითარებისა და ზრდის გამო, დარღვევა არა დიფერენციაციის სახით, არამედ დარღვევა მისი განუვითარებლობის და დაავადების გამო. მთლიანი ორგანიზმი დაავადმყოფდა და ამ ავადმყოფის ტკივილს, უეჭველია, მწვავედ იგრძნობს მისი პირმშო, რომელსაც ასე უყვარს სამშობლო და თვისი ერი.

ასეთ შვილთა რიცხვს, უეჭველია, ხელოვანნი ეკუთვნიან და მათი შემოქმედებაც ერის სულის სახვაა, მისი შინაგან ტრაგედიის გარდაშლა, მისი საუკეთესო იდეალების ალიარება... მათი შემოქმედების უმთავრესი მამოძრავებელი სტიმული არსებული უკუღმართი სინამდვილეა, რომლის შერიგება ხელოვანს არ შეუძლიან და რომლის გარდამა ჰქმნის სასურველ სინამდვილეს, სიცოცხლის აზრს, მის იდუმალ გზას.

⁂

ამნაერად ერის მთლიანობა, მისი სული, დარღვეული და შელახული, თვის აღდგენასა და გამთელებას ლამობს ხელოვანის ფანტაზიაში. ჯერ შესაძლოა ხელოვანისათვის შეგნებული და მიზანშეწონილი, გარკვეული არც კი იყოს ერის ხსნის გზა, მაგრამ ამგვარ შეგნებას მისი პოეტური ბუნება წინ უსწრებს და იგი ინსტინქტით, შეუმცნებლად იწევს ამა თუ იმ მოვლენისადმი, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს მისი ერის ტრაგიკულ ყოფასთან; მაგრამ ეს კავშირი სხვა სახით გარდაგვეშლება თვალწინ, თუ საგანს და მოვლენას ღრმად ჩავუკვირდებით.

ჯერ კიდევ ყრმა შილლერი მთელის სიძლიერით გრძნობს გერმანიის დაუძლურებას და მის პოლიტიკურ სიდუხჭირეს.

მის პირველ მთლიან შემოქმედებაში „ყაჩაღები“ გმირი კარლ მოორი ბოროტებას ებრძვის და ძლიერთა ფარფაშის მოსპობა, ღარიბთა და დევნილთა მფარველობა ჰსურიან.

გერმანიის თავისუფლების წყურვილმა წარმოშვა შილლერის დრამა: „შეთქმულობა ფიესკოსი“, რომლის გმირი რესპუბლიკანურ იდეების მატარებლად გამოჰყავს პოეტს. საინტერესოა ერთი პრობლემა გერმანიის მეორე შესანიშნავ პოეტის

ლია, რომ მისი დებულების წინააღმდეგ მხოლოდ ნაციონალისტებს თუ ეთქმის რამე, თორემ სხვა მხრით, მაგ., საერთო თანამოაზრეების მხრით ხომ შეუძლებლად მიაჩნია ამ საგანზე სხვა აზრის ქონება...

რა ვქნა, ჩემს თავს ნაციონალისტად ვერ მოვნათლავ, მაგრამ მაინც ვერ გავიზიარებ დასახელებული წერილების დედა-აზრს და, თუმცა ვიცი, რომ „სიმართლის ხმის" პუბლიცისტი კატეგორიულად „ნაციონალისტად" გამომაცხადებს, მაგრამ მაინც გავბედავ ამ საგანზე ჩემი აზრის გამოთქმას.

პირველ წერილში ავტორი ცდილობს გაარკვიოს, თუ რა არის თვით ცნება „ტერიტორია" და ასეთ ნაირად მსჯელობს:

„რა არის ტერიტორია? ტერიტორია ის ადგილია, რომელზედაც სახელმწიფოს უზენაესი ძალა-უფლება ვრცელდება. არსებობს რუსეთის ტერიტორია, სადაც ძალაშია რუსული კანონი; არსებობს საფრანგეთის ტერიტორია, სადაც მართვა-გამგეობა საფრანგეთის კანონების თანხმად სწარმოებს; არსებობს ფინლიანდიის ტერიტორია, რომელიც ფინლიანდიის კანონმდებლობას ემორჩილება, მაგრამ არ არსებობს პოლონეთის ტერიტორია, ვინაიდან კაი ხანია მოისპო „რეჩ. პოსპოლიტა"".

შემდეგ ამისა ავტორი ეხება ტერიტორიის შესაძლებელ ბედს და განაგრძობს ასე:

„ტერიტორიას ორი მხრიდან—გარეშე და შინაური მტრები ემუქრებიან. მოსალოდნელია უცხო სახელმწიფო თავს დაესხას სახელმწიფოს, მას ტერიტორია ჩამოაცალოს ან სახელმწიფო სავსებით გააქროს და მის ტერიტორიას დაეპატრონოს. შეიძლება მეორე შემთხვევაც: მოსალოდნელია ქვეშევრდომთა ერთი ნაწილი აჯანყდეს, არსებული უზენაესი ძალა-უფლება გააბათილონ, დამოუკიდებელი სახელმწიფო დაარსონ, ან მეზობელ სახელმწიფოს მიეკედლოს". დაბოლოს ავტორი რიხით დაასკვნის:

„აი რას გვეუბნება მეცნიერება, აი რანაირია სახელმწიფო უფლების ძირითადი დებულება".

ამ რიგად ავტორი, როგორც ამას თვით აღიარებს, თავის შეხედულებებს მეცნიერების, კერძოდ სახელმწიფო უფლების ძირითად დებულებად თვლის. ის იმდენად დარწმუნებულია ამაში, მისი განცხადება იმდენად კატეგორიული ხასიათისაა, რომ თვით მკითხველიც ერთგვარ ჰიპნოზის ქვეშ რჩება ერთხანს მაინც და ეჭვიც არ ებადება ავტორის მტკიცების უმართებლობაში.

კარგი კიდევ, თუ ეს მკითხველი, წინააღმდეგ ავტორისა, დაახლოვებით მაინ იცნობს სახელმწიფო უფლების მეცნიერებას; სხვა მკითხველი კი იძულებული ხდება ენდოს ავტორს, გაზეთის მთელ რედაქციას, და მით გაიზიაროს ყველა ეს აზრები, როგორც მეცნიერების შეხედულებები...

წინააღმდეგ ავტორის მტკიცებისა, მე შემიძლიან თამამად ვსთქვა, რომ ნამდვილად ასეთი არ არის მეცნიერების შეხედულება, ამნაირი არ არის სახელმწიფო უფლებების ძირითადი დებულება. ავტორი სახელმწიფო უფლების ერთს წარმომადგენელს მაინც რომ იცნობდეს, ერთხელ მაინც რომ ჩაეხედა რომელიმე სახელმძღვანელოში, სანამ მისთვის სრულიად უცნობ საგანზე წერას დაიწყებდა, მაშინ ადგილი არ იქნებოდა, რა თქმა უნდა, მის ასეთს რიხიანობას, რადგანაც მაშინ უეჭველად ეცოდინებოდა, რომ სახელმწიფო უფლების სწავლაში ძლიერ ცოტაა ისეთი დებულება, რომლის ჭეშმარიტების შესახებ ასეთი რიხით ლაპარაკი შესაძლებელი იყოს... მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ქართულ გაზეთში იბეჭდება, ქართველი მკითხველისთვის,—და აქ ხომ ყველაფერის დაწერა შეიძლება. ტერიტორიის საკითხს უარისყოფით კიდებიან. მის სათრევად და სალანძღავად დიდი თავისუფლება მყარდება... აქ მეცნიერება მართლაც არ არის—საჭირო... მაგრამ გადავიდეთ საგანზე.

მოყვანილი ამონაწერიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ტერიტორია არის ის ადგილი, რომელზედაც სახელმწიფოს უზენაესი ძალა-უფლება ვრცელდებაო. ავტორის აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ ამავე სახელმწიფოს ტერიტორიის ერთს ნაწილზე, როგორც ტერიტორიაზე. ჩვენ შეგვიძლიან, მაგ., ვილაპარაკოთ მთელი რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ არ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ რუსეთის ნაწილის, პოლონეთის, ტერიტორიაზეო. რატომ?—ეკითხებით ავტორს; მისი პასუხი ერთი: ასეთია მეცნიერების ძირითადი დებულებაო.

კეთილი, ბ-ნო ჩემო, დავეთანხმებით ერთს წამს და ვაღიარებთ თქვენთან ერთად, რომ ტერიტორია არის ის ადგილი, რომელზედაც ვრცელდება სახელმწიფოს უზენაესი ძალა უფლება. მაგრამ ვიკითხოთ ამის შემდეგ, პოლონეთიც ხომ არის ადგილი, რომელზედაც უეჭველად ვრცელდება სახელმწიფოს უზენაესი ძალა-უფლება? რატომ არ შეიძლება მაშ პოლონეთის ტერიტორიაზე ლაპარაკი? თქვენს განმარტებას თუ დავეყრდნობით, ლოღიკა გვავალებს ვაღიაროთ, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე სწორედ რომ შესაძლოა ლაპარაკი. ალჟირი, მაგალითად, ნაწილია საფრანგეთის, რომელზედაც ვრცელდება საფრანგეთის სუვერენიტეტი, და ამიტომ საფრანგეთში არავის არ გაუკვირდება ალჟირის ტერიტორიაზე ლაპარაკი და მსჯელობა, არც ერთს მეცნიერს, არც ერთს სახელმწიფო უფლებების მცოდნეს. ავტორი თვით ბრძანებს „ფინლიანდიის ტერიტორიაზე". ალბად ფიქრობს, რომ ფინლიანდია ცალკე სახელმწიფოა, რომელზედაც არ ვრცელდება რუსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტი. ეს სწორედ რომ ავტორის ორიგინალური შეხედულებაა, და ფინლიანდიელები მადლობას არ დააველებენ მას ასეთი აღმოჩენისთვის. არა ბატონო! ფინლიანდიაც ისეთი ადგილია, რომელზედაც ვრცელდება რუსეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტი.

ჩვენ ვხედავთ ამ რიგად, რომ ავტორის განმარტება ყოველ ფეხის ნაბიჯზე წინააღმდეგობაში გაგდებთ. ის თვით არღვევს და ეწინააღმდეგება იმ მაგალითებს, რომლებიც ავტორს მის გასამაგრებლად მოჰყავს.

ეს კი პირდაპირი შედეგია ავტორის-მიერ სათანადო მეცნიერების უცოდინარობისა.

მეცნიერული განმარტება და ტავტოლოგია ერთი და იგივე რომ იყოს, მაშინ ჩვენი ავტორიც მართლაც მეცნიერი იქნებოდა. მაგრამ მეცნიერება უფრო სხვა არის. მეცნიერი არ იტყვის: ტერიტორია არის ის, საცა ვრცელდება ჰაერი. რატომ? არა იმიტომ რა თქმა უნდა, რომ ეს „მართალი" არ იყოს. არა! უეჭველად მართალია რომ ყველა ტერიტორიაზე, ვრცელდება ჰაერი. მაგრამ არც ერთი მეცნიერი ამის მზგავსი განმარტებით თავს არ შეიწუხებს, რადგანაც იმით საგნის შესწავლა და მისი შინაარსის და თვისებების გაგება ისევს შორს გვრჩება და გაურკვეველი ცნობა ამით-სრულიად არ ირკვევა.

ასეთია ჩვენი ავტორის განმარტებაც.

მართლაც, დღეს დედა-მიწის ზურგზე იშვიათია ისეთი ადგილი, რომ მასზე ასე თუ ის სახელმწიფო თავის სუვერენიტეტს არ ავრცელებდეს. ეს ასეა, მაგრამ სახელმწიფო უფლებაში ტერიტორიაზე ამ მხრივ არ მსჯელობენ რადგანაც აქ სამსჯელოც არაფერია. მხოლოდ ჩვენ, მაინც შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ასეთი ტერიტორია, რომელზედაც არ ვრცელდება არავითარი სახელმწიფოს არავითარი სუვერენიტეტი... მაგალითი. ამ ბოლო დროს კუკმა, ამუდსენმა და სხვამ აღმოაჩინეს მთელი ტერიტორია, სადაც არავითარი სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ ვრცელდებოდა. ასეთი აღმოჩენა კვლავაცაა მოსალოდნელი".

---

ჰენრიხ ჰეინეს შემოქმედებაში, რომელსაც დღემდე, მგონია, კრიტიკა ამ მხრით არც კი შეხებია. ჰეინესათვის მთელი კაცობრიობა მის ისტორიულ საფეხურებზე დაყოფილია ორ ნაწილად: პირველნი ატარებენ ელლინურ დასაწყისს, ხოლო მეორენი კი ებრაულს. პოეტი მუდამ პლატონიური მოტრფიალე იყო ელლინიზმისა, მაგრამ მისდამი სულიერი ნათესაობა არაოდეს არ უგრძვნია და ორგანიულად არ შეზრდია ამ ელლინურ სულს.

სამაგიეროდ მთელი მისი ბუნება იწევდა მეორე დასაწყისისაკენ და აქ სულიერი ნათესაობა ებრაელთადმი ერთის წუთითაც კი არ გასწყვეტია მას.

მის არსებაში მომწყვდეულ რელიგიურ, უშრეტელ წყურვილსაც ამ ებრაელთა ნათესაობის ბეჭედი აზის.

რა თქმა უნდა, აქ ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ თვითონ ჰეინე ებრაელი იყო; და მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებას და ლირიკას უმეტესად საერთო და ზოგადი განცდა ჰქმნის, მისი შემოქმედების მელოდია, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმეტესად ებრაულია.

* *

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საინტერესოა ჰეინეს შეუმცნებელი და მუდმივი ლტოლვა ორს ისტორიულ პირთან და მათი უსაზღვრო სიყვარული.

ესენი არიან: ქრისტეფ. კოლუმბი და წინასწარმეტყველი მოსე.

ცხადია, აქ ჰეინეს ენით მეტყველებდა მთელი ებრაელთა ერი, რომელმაც დაჰკარგა სამშობლო, რომელსაც ყველგან სდევნიან, როგორც მოსულებს და რომელთაც ვერ მოუპოვებიათ ვერც ერთი კუთხე ვებერთელა დედამიწაზე, საცა შესძლებოდათ თავისუფლად სულის ამოთქმა. ებრაელთა ბუნებაც შეუმცნებლად იწევს ყოველ ახალ ქვეყნებისაკენ და იმედოვნებს, რომ შესაძლოა, იგი ქვეყანა იყოს მათი ნავთსადგური, საცა მოსვენებას ეღირსებიან.

მოსე წინასწარმეტყველმა დევნილი ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა, ზღვა გადასჭრა და ახალი, თავისუფალი ქვეყანა დაუსახა, მისკენ ასწავლა გზა.

ქრისტ. კოლუმბმა სრულიად ახალი მდიდარბუნებოვანი ქვეყანა აღმოაჩინა და მით გაშალა ამ ქვეყნის საზღვრები. ამერიკა ახალი მხარე იყო, საცა ჯერ მრავალი თავისუფალი ადგილი მოიძეოდა და მრავალი სიმდიდრე ბუდობდა.

დევნილ, უმწეო ებრაელთ არ შეიძლებოდა იმედიანი თვალი არ მიეპყროთ ამ ახალ ქვეყნისადმი და არ შეიძლებოდა მხსნელად არ მოვლინებოდა მას იგი მხარე. აი, ამით აიხსნება შეუმცნებელი ლტოლვა და სიყვარული ჰეინესი ამ ორ პირთადმი. ცხადია, აქ პოეტის შემოქმედებაში მეტყველებდა მთელი ერის სული, მისი იმედები და წყურვილი ხსნისა. აქედან წარმოდიოდა მგოსნის სიმპატია ამ პირთადმი.

არ შეიძლება ერის სული და მისი სწრაფვანი არ აღიბეჭდონ მგოსნის შემოქმედებაშიც, მაგრამ განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქებში, როცა ერის ბრძოლა აშკარად მჟღავნდება, იგი უფრო ნათელი და შესანიშნავი ხდება.

ჩვენ მოველით, რომ ასეთი ხელოვანი მოევლინება კვლავ ქართველ ერსაც, მაგრამ უფრო ადრე ველოდებით, რომ საქართველო თვის წიაღს განამზადებს მისთვის...

**ბაკი პაპავა.**

## პასუხად გ. პ. პ-ძეს

„სახალხო გაზეთის" მე № 1156 მოთავსებული იყო წერილი გ. კ. კ—ძისა ჩვენდა საყურადღებოდ, რომლის შინაარსსაც ჩვენ სავსებით დავეთანხმებოდით, რომ მწარე გამოცდილებას არ ჰქონოდა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. პატივცემული ავტორი ამბობს, თუ ვინმემ არ მიიღო თავზე ინიციატივა, სიტყვა სიტყვად დარჩება და საქმეს კი არაფერი ეშველებაო და მოჰყავს ანალოგიური მაგალითი ექიმების ცხოვრებიდან. გ. კ—ძევ! თქვენს წერილზე შემდეგი შემიძლიან გიპასუხოთ: 1) ექიმების შედარება მასწავლებლებთან შეუძლებელია; რაც ექიმისთვის შესაძლებელია ადვილად, ის მასწავლებლისთვის ან ძნელად შესასრულებელია და ან სულ არა, ვინაიდგან ექიმების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე საწყალი სახალხო მასწავლებლებისა; და თუ ექიმთ ვერ მიუღწევიათ ზოგ ექიმის გამოთქმულ სურვილისთვის. ალბად მათთვის ნაკლებად საჭირო ყოფილა ის, რაც მასწავლებლისთვის დღეს აუცილებელია, თორემ სხვა დამაბრკოლებელ მიზეზს ვერ ვხედავთ; მასწავლებლის ცხოვრების დაკვირვებით, სულ სხვა რამეს დავინახავთ:

სურვილიც რომ ჰქონდეს ზოგ მასწავლებელს, ძნელად მიაღწევს თავის საწადელს. რადგან ამისთვის მას არც დრო აქვს, არც ფული და უმთავრესად კი უფლება... მასწავლებელთა შორის მოწინავე ელემენტებიც ისე დაშორებულნი არიან ერთმანეთისგან, რომ მათი თავის მოყრა ძალიან ძნელია მეცადინეობის დროს. ეგეც არ იყოს, ნურას უკაცრავად და მოწინავე ელემენტებშიაც, ბევრი ისეთი ურევია, რომელთაც ქედს აჰრევინებს წარმოდგენა იმისა, რომ ისინი უფროსების წინააღმდეგ წასვლით, არსებობის ლუკმას დაჰკარგავენ.

და 2) სურვილის და სიტყვის გარდა, საქმისკენაც იყო მიმართული ჩვენი მოქმედება და სწორედ იმ გზით, რომელსაც თქვენ გვიჩვენებთ, მაგრამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ზოგიც ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზების გამო და ზოგიც სხვა რაიმეებით, რომლის ჩამოთვლაც დღევანდელ პირობებში გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია.. ასე რომ თქვენგან გამოწერილი რეცეპტი, პატივცემულო ავტორო, უებარი როდია, ის უკვე გამოცდილიცაა და უნაყოფოც სხვა და სხვა მიზეზების გამო.

თქვენ კარგათ უწყით, რომ ისეთ საქმისთვის როგორიცაა, რაიმე საზოგადოების დაარსება, საჭიროა კოლექტიური ძალა, მაგრამ ამასთანავე აუცილებლად გამოცდილ პირის ბელადობაცა საჭირო, რომელიც გააბედვინებს დაქსაქსულ მასწავლებლებს ერთად მუშაობას; ჩვენდა სავალალოდ კი ჯერ-ჯერობით ასეთ გულშემატკივარს მოკლებული არის მასწავლებლობა.

ჩვენი წერილი სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ მასწავლებელს საერთოდ შეეგნო თავის მდგომარეობა და კერძოდ გამოცდილ პირს, და არა განურჩევლად რომელიმე მასწავლებელს მიექცია ამ საქმისთვის ჯეროვანი ყურადღება და მოეყარა მასწავლებლობისთვის თავი; ეს მით უფრო მოსახერხებელია რომ მოახლოვებული არის ზაფხულის არდადეგები და მასწავლებლებს ბევრი თავისუფალი დრო ექნებათ.

**გარიყული.**

## ლანჩხუთის ავან-ჩავანი

(გურია)

გაზაფხული შრომის გაძლიერების საუკეთესო დროა სოფელში. ფრიად ძვირფასია ყოველ გლეხ-კაცის ოჯახში ამ დროს სრულიად უბრალო მუშა. მიწა და ბუნება მხოლოდ და ხელის მიკარებას თხოულობს, რომ ხალხს საცხოვრებელი მასალები უხვად მიუზღოს, მაგრამ იშვიათად ნახავთ დაბას, სადაც შრომა ისე აბუჩად და სამარცხვინოდ იყოს აგდებული, როგორც აქ. რა დღესაც უნდა გაბრძანდეთ დაბაში მრავლად წააწყდებით შიგ—როგორც აქ ამბობენ, „ინტელიგენტებს". რას წარმოადგენენ ეს ინტელიგენტები? სოფლის სკოლის მასწავლებლებს? საკოოპერაციო დაწესებულებაში მოსამსახურეთ? ან რაიმე საქმის მესვეურთ?—არა, ბატონო მკითხველო. ზოგიერთებს ორი თუ სამი-ოთხი კლასი როგორღაც გაუთავებია, საყველპუროდ რუსული შეუსწავლია, მოდაზე ჩაცმა-დახურვა მოუხერხებია და თუ ამავე დროს ერთი ყოვლად უნიჭო კორესპონდენციაც ან „სამათრახო" ჭორი შეუთხზავს—თქვენი მტერი! ვაჟბატონს ქვეყნის მარილად მოაქვს თავი და მხარზე ბუზსაც აღარ კარებს. შრომას, გარჯილობას, ოჯახის მიხედვას ნუღარ ბრძანებთ! საკვირველი და სამწუხარო გარემოებაა: გლეხს სიმწრით შვილი გამოუზრდია, მისთვის სწავლა მიუცია და ეგ „ნასწავლები" კი შემდეგ თვით გლეხს ზურგს აქცევენ. სწავლამ კი არ უნდა შეგვაძულოს სოფელი და სოფლის მუშაობა, არამედ სწავლა-მეოჯახეობა, მეურნეობა და ხელთ-საქმე უნდა შეგვაყვაროს. სოფელს და ყანას უსწავლი კაცი კი არ სჭირია, არამედ ნასწავლი და შეგნებული და გვიკვირს ეს ლანჩხუთის ბაზრის ტკეპნია ყმაწვილები რათ სთვლიან სასირცხოდ სოფლის მუშაობას, მამის დახმარებას, ეზოს გამშვენიერებას. განა სასირცხო და სათაკილო არ არის მოხუც მამის ზურგზე, მოხუცის შრომით ისაზრდოოს კაცმა, დააწვეს დედ-მამას თავზე და თვით ჯან-საღმა ხელი არ გაანძრიოს? იმუშავეთ ბატონებო, იმუშავეთ. ყოველი ხე ნაყოფს მოიტანს, ყოველი ციდა მიწა სიმდიდრეს შეგძენსთ. რათ არ მუშაობთ? მუქთახორობა სულის დამჭკნობელია და სხვისთვისაც მავნებელი, რადგანაც მუქთახორობა ახალი გაზრდობისთვის ცუდი მაგალითია.

ფიზიკურ შრომაზე რომ ყურადღებას არ აქცევენ და თაკილობენ მას, განა სოფელში სხვა საქმე ცოტაა? ბიბლიოთეკა რომ გაბინძურებული და გავერანებულია მას მოვლა არ უნდა? თეატრი რომ კარ-მიკეტილია მას გამოცოცხლება არ სჭირია? ჩვენი სოფლის ქირ-ვარამი რომ მიგდებულია მას მზეზე გამოტანა არ სჭირია? სოფლის კანცელიარიას რომ არ ეკარებით განა იქ საზოგადო საქმე ცოტაა? საკოოპერაციო დუქნის ნებართვა რომ აგილიათ იმაზე მუშაობა არ არის საჭირო? სასოფლო ბანკი რომ დაკანინებულა მას ყურადღება არ უნდა მიაქციოთ? ჟურნალ-გაზეთები რომ არ სადღება ხალხში ეგ განა თქვენი უძლურების ნაყოფი არ არის? რათ არ გამოიღებთ ხელს? თათრები და ებრაელები შემოდიან სოფელში და აუარებელ სოფლის სიმდიდრეს ყიდულობენ და გააქვთ გარედ, დიდძალ ფულს იგებენ და თქვენ რათ ვერ შეერთებულხართ, რომ თქვენც სარგებელი გენახათ და ხალხსაც, გამყიდველსაც? დღეს მეაბრეშუმეობა კარს გვადგია და თქვენ ხალხს რათ არ აწვდით დაბალ ფასებში საუკეთესო ხარისხის თესლს? დამშეულ ხალხს სიმინდს ურიგებენ და თქვენ რათ არ აქცევთ ყურადღებას თუ რა ხდება მის გარშემო?

საქმე აუარებელია, გამკეთებელი არავინ. ყველა ამპარტავნობს, იბერება, მდაბალ საქმეს გაურბის, დიდი საქმის არაფერი გაეგებათ, მცირეს არ კადრულობს და სრულიად ზარმაცობა კი სასირცხოდ არ მიაჩნიათ. ბატონებო, თავის თავს დაუკვირდით, პატიოსან შრომას პატივი ეცით და ყოველ საქმეში შეიტანეთ სიყოჩაღე, მუყაითობა, სიყვარული და საზოგადოებაც შეგიყვარებსთ.

**თანი.**

## წერილი გორიდან

მშობელთა წრეების მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია და ჩვენი ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ; ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენს უკუღმართ ხანაშიაც კი შეუძლიანთ ამგვარ წრეებს სარგებლობის მოტანა. ამის მაგალითს გვაძლევს, სხვათა შორის, გორის სავაჟო და ქალთა გიმნაზიებთან არსებული მშობელთა წრეები. ეს წრეები ერთსა და იმავე დროს დაარსდა ამ 7—8 თვის წინად.

მშობელთა წრემ გახსნა მოწაფეთათვის საჩაიე. დიდი დასვენების დროს, თორმეტის ნახევარზე, მოწაფეთ აძლევენ ჩაის, კატლეტს, „პიროჟკებსა" და სხვა. ღარიბებს აძლევენ უფასოდ (13 მოწ.), შეძლებულთ კი ახდევინებენ 2, 3, 5 და 7 კაპ. ჯერში. საზრდო ირჩევა სადი, ნოყიერი, წრის თავმჯდომარის, ექიმ პაველკოს ზედამხედველობით. მშობელთა წრეს აქვე გიმნაზიაში გაუნთავისუფლებია სწავლის ფულისაგან სამი ღარიბი მოწაფე. ჩამორჩენილ მოწაფეებისთვის მოაწყეს სარეპეტიციო კლასები, სადაც კვირაობით უფასოდა მეცადინეობენ თვით მასწავლებლები.

წრის სახსარს შეადგენს საწევრო გადასახადი ერთი მან. და წარმოდგენების თუ გასართობების შემოსავალი. ასევეა ქალთა გიმნაზიაში. რათა ნაყოფი უფრო სარგებლიანი ყოფილიყო, წრეები საერთო მოქმედებისათვის შეერთებულან და საერთო ძალით ეძიებენ შემოსავლის წყაროს... ვუსურვოთ ჩვენს მშობლებს მეტი ენერგია.

* *

მახსოვს, როგორი აღფრთოვანებით შეეგებნენ ჩვენი ქალები ქართველ ქალთა წრის „მანდილოსანი"-ს დაარსებას გორში. ყველას სახეზე კმაყოფილება აღბეჭდოდა, ყველას ბაგეზე ღიმი უკრთოდა, ერთმანეთს ულოცავდნენ, მომავალ მოქმედების გეგმას ადგენდნენ... არ უშინდებოდნენ არც შრომას, არც ხარჯს, არც იმ იერიშებს, რომელიც მიჰქონდა მათზე ანგარებით სავსე ორიოდ ქალბატონს... 14 იანვარს პირველი ნაბიჯი გადასდგეს და საღამო გამართეს... სხვა საქმიანობასაც ეპირებოდნენ მაგრამ... 14 იანვარს აქეთ, სამწუხაროდ, მათი მოქმედება ცივ წერტილს არ გასცილებია... დაივიწყეს თითქოს თავიანთ სიტყვები, აღთქმანი და მიიძინეს, მიიძინეს, რადგან ხელმძღვანელი პატივცემული ანასტასია ერისთავ-ხოშტარია მოულოდნელმა ავადმყოფობამ დიდი ხნობით ჩააგდო ლოგინში. რამდენადაც სასიამოვნოა ის, რომ ასეთი რიგიანი ქალი უთამაშნია აქაურ ქალთა შორის ქ. ანასტასიას, იმდენად სამწუხაროა ის, რომ მთელი „მანდილოსნის" სვე-ბედი მხოლოდ მაზე ყოფილა დამოკიდებული—და უმისოდ ჩვენმა ქალებმა ვერ შესძლეს დაწყებულ საქმის ერთი ნაბიჯით მაინც წინ წაწევა და საკუთარ უნარის გამოჩენა. ჩვენს დედებს მაგალითი ტფილისელ დობილებისგან მაინც აეღოთ, რომელთაც მრავალი დაბრკოლება გადალახეს და საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენეს. „მანდილოსნის" წევრთათვის ჯერ-ჯერობით ისიც საკმარისი იყო, რომ ტფილისელებისავით ემართათ სისტემატიური ლექციები შვილების მოვლა-აღზრდაზე, ქალთა განათლებაზე, ქალთა მოძრაობაზე, ჰიგიენაზე და სხვ. ეს არც ისე ძნელია და ამისათვის საჭირო ძალები ადგილობრივაც მოგვეპოვება.

**ხანგანიძე.**

## წკიპურტები

„კლდეში" ასეთი მარგალიტია დაბეჭდილი, რომელიც უცვლელად მოგვყავს:

### „უკუდო ვირი

(არაკი)

ვიღაც უკუდო ვირი, მეტად დატვირთული და ქანც-მოწყვეტილი, ტალახში ჩავარდნილიყო. ამოსაყვანად მრავალი მოყვარე მისდგომოდა.—

ზოგი გინებით წიხლსა და სახრეს სცემდა: უპატიოსნო სულო, [illegible] ყვარეობას გაულვიძებს და წამოახტუნებსო.

ზოგი ავშარას უწევდა და უწრუწუნებდა: წინსვლის წაქეზებად მიიჩნევს და გულს გაიმხნევებსო.

ზოგი გულის გასამხნევად თავს დასტიროდა: „აღსდექ, გმირო, შენი წარსული სიყრმე მოიგონე, ვარსკვლავს რომ ეთამაშებოდიო!

ზოგი კრეჭია გაღმა გამდგარი სეირს უყურებდა: მოდი შენ და უკუდო ვირი ტალახიდან ამოიყვანეო.

ზოგმა სთქვა: „სანამ კუდს არ გაიძლობს, ეგ ვერ ადგებაო"—და წინ ერთი მუჭა ბზე ტალახში ჩაუყარა.

ზოგი ამბობდა „აცა, კუდი ხელახლა გამოუბმის და მაშინ ამოვათრევთო".—და გულ-ხელდაკრეფილი იდგა,

ზოგმა სთქვა: „ეგრეც არა უშავს რაო. ტალახი რომ გაშრება, თითონ ადგებაო."—და წავიდა.

ერთმაც დაიძახა: „ვეეო, ე ტვირთი მოხსენით მაინცაო"..

მაგრამ სხვებმა სასაცილოდ აიგდეს: „მაშ მოდი ბარემ ეს ტვირთი შენ მიუტანე პატრონსაო".

ამათში ვინ იყო მართალი, ვინ მტყუანი,—რა მოგახსენო?—მხოლოდ ის ვირი ახლაც გდია ტალახში, ისევ დატვირთული.

*

ჰოი, მამულო საყვარელო, ამ არაკის ხსენებაზე ნეტა შენ რად მაგონდები?

**რიშ-ბაბა".**

ჰოი „კლდეო", უბადრუკო
გადააჯექ „ბაბას" ვირსა
მასვე სთხოვე მოსაზრება
ის გასესხებს ცოტა ტვინსა,
მის ყროყინზე შეეყრები
რაყიფობას, უცხო ლხინსა,
და შენისთანა უკუდო
ღირსი არი მათრახისა.

**ჩვენ.**

## სოფელი სართიჭალა და გერმანელთა ახალშენი.

(მგზავრის დაკვირვება).

სოფელი სართიჭალა ძველი ქართული სოფელია. იგი იმყოფება ქ. ტფილისიდან სიღნაღში მიმავალს გზაზე,—მდინარე ივრის ნაპირზედ... სოფ. სართიჭალის გვერდით აკრავს გერმანელთა ახალშენი, რომელსაც ჰქვიან მარიენფელდი (თვით მარიენფელდი განიყოფება რამდესიმე ნაწილად). აქ მოსახლეობენ გერმანელნი, რომელნიც გადმოსახლებულნი არიან გერმანიიდან (ვიურტემბურგიდან).

როდესაც გერმანიაში დაიწყო სეპერატისტული მოძრაობა და დევნა სექტანტებისა, მაშინ გერმანელი ნემეცები,—მქადაგებელთ, ბენგელის და შთილინგის ზე-გავლენით იძულებული იყვნენ ამერიკაში, რუსეთში და უფრო კი კავკასიაში გადასახლებულიყვნენ. 1817 წელს იმპერატორის ალექსანდრეს ნებართვით 7000 გერმანელი შემოვიდა საქართველოში. მოახლოვდნენ თუ არა კავკასიის საზღვრებს და, სახელდობრ, ადესას, დაუდგათ ჟინჟლიანი შემოდგომა და თითქმის ნახევარი გაწყდა. ამ დროს საქართველოში ჯარის უფროსს გენერალ ერმოლოვს, მოუვიდა იმპერატორისაგან ბრძანება,—წაეყვანა გერმანელები საქართველოში და მიეცა ის ადგილები, საცა მოეწონებოდათ. ამავე დროს, სახელმწიფო ხაზინამ, მისცა მათ 100 ათასი მანეთი წელში გასამართავად. გერმანელებმა ამოირჩიეს მშვენიერი ადგილები საქართველოში და დაარსეს პირველი ახალშენები. მაშინდელი ახალშენებია ალექსანდერდორფი, მდ. მტკვრის ნაპირას, ტფილ. ახლოს. ახალი ტფილისი (დღევანდელი მიხეილის პროსპექტი), მარიენფელდი (სართიჭალა), ელენდორფი, (განჯაში), ანნენფელდი (შამქორში) და ელისაბეთთალი (სომხეთში). დასახლდნენ თუ არა სართიჭალაში გერმანელნი, შეუდგნენ მუშაობას. ააშენეს მშვენიერი თეთრად შეღებილი სახლები, გააკეთეს ბაღ-ბოსტნები, ვენახები, ბოლოს ეკლესიაც. დაიარსეს ქსენონი, სავაჭრო დუქნები, ამხანაგობა, და აგრეთვე კარაქის გამოსახდელი ქარხანა. ასე და ამ რიგად გასწორდნენ წელში. შეეჩვივნენ აქაურს ჰავას და მიწას და სამუდამოდ დაივიწყეს თვისი სამშობლო და შეეტკბნენ სამოთხე — საქართველოს. აქაური გერმანელნი საოცარი მშრომელი ხალხია, კულტურის [illegible] მათ შრომას წინ ვერაფერი ეღობება, ისინი დღეს მდიდრად არიან. მათში გაჭირვებულს და უმწეო მდგომარეობაში მყოფს ოჯახს ვერა ნახავთ.

მშვენიერი სანახავია მათი სოფელი, რომელიც მოგვაგონებს გერმანიის კოპწია სოფელს. ამ სოფელში, შუაში მისდევს გრძელი და განიერი ქუჩა, რომელიც შეადგენს სიღნაღის გზის ნაწილს. ერთი სიტყვით, ეს სოფელი ნამდვილი პატარა ქალაქია. ამ სოფლის გვერდით კი, გაშენებულია ზემოდმოხსენებული სოფ. სართიჭალა, რომელიც წარმოადგენს

უკანასკნელთან შედარებით—ქვების ყორეს. უსწორ-მასწორო ქუჩები,—შამბით და ჭინჭრით აღვსილი, აქა-იქ ქოხმახები. მცხოვრებნი ღარიბნი, გატეხილები. აი, მაგალითი ქართველთა დაუდევრობისა. თითქმის საუკუნეა, რაც ეს ორი სოფელი შეერთდნენ და აქამდის აქაურს ქართველ მცხოვრებლებს გერმანელებისაგან არაფერი სახეირო არ შეუთვისებიათ... დამაფიქრებელი მოვლენაა!

**გ. ლეონიძე.**

## მუშათა ცხოვრება

### გაფიცვის დასრულება.

**პეტერბურგი.** 1 აპრილს განახლდა მუშაობა ბალტიის გემების ქარხანაში. მუშაობა 3000 კაცმა დაიწყო. ამ ჟამად გაფიცვა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. არ მუშაობენ ჯერ ზოგიერთი წვრილი სამრეწველოსი და „ტრეუგოლნიკის“ მუშები.

„ფენიქსის“ ქარხანაში მუშებმა დირექტორს მიმართეს, მათ სამუშაო ხელფასი მისცემოდათ გაფიცვის დროსაც. დირექტორმა გადაჭრილი უარი უთხრა. მუშებმა კრებაზე დაადგინეს ზედმეტი და კვირა-უქმე დღეებში სამუშაო აღარ გააკეთონ, სანამ მათ არ მისცემენ გაფიცვის დროის ხელ-ფასს.

### უმუშევართა მდგომარეობა.

რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების თავმჯდომარემ გუშინ ქალაქის მოურავს აცნობა „ტრეუგოლნიკის“ და ბალტიის ქარხნების უმუშევარ მუშათა აუტანელი მდგომარეობა. წერილში თავმჯდომარე იმედს გამოსთქვამს, რომ გრაფი ტოლსტოი ამ ცნობას უყურადღებოდ არ დასტოვებს და უმუშევართ რაიმე დახმარებას აღმოუჩენს.

### ჩხრეკა და დაპატიმრება.

1 და 2 აპრილს პეტერბურგში მუშათა შორის ბევრი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. ჩხრეკდნენ „დამცველ განყოფილების“ დავალებით ჟანდარმების თანადასწრებით. უმეტესი ნაწილი შეპყრობილთა მუშაობდნენ სპროფესიო კავშირებში. ბევრი შეპყრობილთაგანი ციხეებში გადაიყვანეს. ქალაქის მმართველის განკარგულებით პეტერბურგიდან იგზავნებიან პუტილოვის საავადმყოფო კასის მმართველნი, რომელთაც გაჩხრეკის დროს საქვეო ვერა უპოვეს-რა.

## უცხოეთი

### ირლანდიის ჰომრულის გამო.

ქვედა პალატის წევრთა ორივე პარტიის მომხრეებში „ტიმეს“ სიტყვით, თანდათან იზრდება მიმართულება კომპრომისის სასარგებლოდ. თანდათან მწიფდება აზრი, რომ უკიდურეს შემთხვევაში აიძულონ პარტიის ლიდერები მოახდინონ შეთანხმება. და თუ კი სააღდგომო კანიკულების დროს მოლაპარაკებას სასურველი შედეგები არ მოჰყვება, მაშინ „უკანა სკამებზე მჯდომნი ხმის მიცემის თავისუფლებას მოითხოვენ.

### ქურთების აჯანყება.

უცხოეთის გაზეთების ცნობებით, ქურთების აჯანყება ბითლისის ოლქში ჯერ დამთავრებულად არ ჩაითვლება. უპირველეს ყოვლისა ეხლანდელი ამბოხება წინანდელებისაგან განირჩევა თავისი გარკვეული პოლიტიკური ხასიათით: იგი მიმართულია არა სომხების წინააღმდეგ, არამედ ახალგაზრდა ოსმალთა წინააღმდეგ. ქურთები უკმაყოფილონი არიან სომხეთის რეფორმებით და ალბად გადასწყვიტეს, აიძულონ მთავრობა უარი სთქვას თავისი გეგმაზე. ქურთები თავის მოძრაობის დასასაბუთებლად ასახელებენ: ისინი ამბობენ, რომ რეფორმების გეგმა ოსმალეთს ასუსტებს და მას უცხო სახელმწიფოებს უქვემდებარებსო. ზოგიერთი გერმანული გაზეთი აქამდე იმ აზრსა ადგას, რომ ქურთების მოძრაობა გამოწვეულია რუსეთის პროვოკაციის გამოო.

### ჩინეთის ამბები

**პეკინი.** „თეთრი მგლის“ მოძრაობა ბოლოს და ბოლოს მთავრობისაგანაც სერიოზულად იქნა აღიარებული. ამბოხების ჩასაქრობად დანიშნეს სამხედრო სასამართლოს თავმჯდომა ლუჩენჩანგი.

სწრაფი ზომები იქნა მიღებული თითქმის ყველგან. „თეთრი მგლები“ ყოველნაირად სცდილობენ დაქსაქსონ მთავრობის ძალები და აწევენ კიდეც მიზანს. მთავრობის ჯარების გამარჯვების ამბები მოგონილია.

მეამბოხენი უკვე პოლიტიკურ ლოზუნგს აცხადებენ. „თეთრი მგლის“ ბელადმა გამოაცხადა „უზურპატორის დამხობა და თანასწორ უფლების შემოღება“. პირველად ავანტიურისტულმა მოძრაობამ ეხლა წმინდა პოლიტიკური სახე მიიღო.

**მუკდენი.** იაპონიის ოფიციოზს დეპეშით ატყობინებენ, რომ ხშირად ჩინეთის ჯარის-კაცები მეამბოხეთ იარაღსა და ტყვია-წამალს აძლევენ. ჯარის უფროსები ზომებს ვერ იღებენ, რადგან ამბოხების ეშინიათ.

**ტიანცზინი.** რამდენიმე ოლქში ჯარის-კაცებმა ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ქალები გააუპატიურეს და სახლები გაძარცვეს. გაბრაზებულმა მცხოვრებლებმა იარაღი აიღეს. ჯარის-კაცებმა 47 კაცი მოჰკლეს და 100 დასჭრეს; არ დაინდეს არც ქალები და არც ბავშვები.

— ადგილობრივმა მთავრობამ ღარიბთა თავშესაფარში მყოფნი დაჰხოცა, რადგან ხარჯის გაღება არ უნდოდათ. აქვე შემოიღეს წამება.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

### 7—8 აპრილი

**პარიზი.** ოსმალეთის სესხის პირველი ხუთას მილიონ ფრანკზე ხელის-მოწერა დანიშნულია 25 აპრილისათვის $93\frac{1}{4}$.

**ლონდონი.** სააგენტოს ცნობებით სამთა კავშირის სახელმწიფოები საპასუხო ნოტის ტექსტში მოითხოვენ მცირეოდენ ცვლილებას. ნოტას ამ კვირაში გადასცემენ საბერძნეთს. პასუხი თავდაჭერილად არის შედგენილი. წინადადებას აძლევს საბერძნეთს ახლო მომავალში ეპირიდან ჯარი გაიყვანოს. კუნძულების შესახებ სახელმწიფოები შემდეგს წინადადებას იძლევიან: ოსმალეთი ოფიციალურად არ აღიარებს ხიოსისა და მიტილენის დათმობას, საბერძნეთი კი განთავისუფლებულ იქნება ვალდებულებისაგან, რომ ამ კუნძულებზე ციხეები არ ააგოს.

**სტამბოლი.** რუსეთის ელჩის წინადადებით ოსმალეთმა გააუქმა რუსეთის ქვეშევრდომ ებრაელების შევიწროება, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ იაფფაში მათ პასპორტებს ართმევდნენ და სამაგიეროდ მოკლევადიან მოწმობას აძლევდნენ.

**ვაშინგტონი.** მექსიკის საქმეთა განმარტებაში პრეზიდენტმა ვილსონმა კონგრესს რწმუნებულება სთხოვა იარაღის მიმართვის შესახებ, რათა ამ რიგად აღდგენილ იქნეს ქვეყნის ღირსება და პატიოსნება. ამერიკის საომარი გემები მზადაა, რათა გადავიდნენ მექსიკის წყლებში და შეასრულონ პრეზიდენტის განზრახვა. მდგომარეობა ომის ფორმალური განცხადებით არ შეიცვლება, რადგანაც შეერთებულმა შტატებმა მექსიკის ეხლანდელი მმართველნი მთავრობად არ სცნო და ვერც ომს გამოუცხადებს. იტყობინებიან, რომ შტატებსა და მექსიკის შორის დამოკიდებულებათა გაწყვეტის გამო შეერთებულ შტატებს შეძლება აღარ აქვთ უცხოელები დაიცვან, რომელნიც მექსიკაში სცხოვრობენ; ეს უცხოელ სახელმწიფოების მთავრობასაც აცნობეს.

**ვაშინგტონი.** ჰუერტამ შეერთებული შტატების მოთხოვნილება უარჰყო. მოთხოვნილება ულტიმატუმის სახით იყო. ჰუერტამ თვით მისცა ახალი წინადადება, რომელნიც ოფიციალური წრეების აზრით შეუწყნარებელია. ჰფიქრობენ, რომ რეპრესიები აუცილებელია. მდივანმა ვილსონმა განაცხადა, საკითხი მექსიკის შესახებ გადაწყვეტილია, ჰუერტასთან მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებელია, რადგან უკანასკნელმა უარჰყო შტატების მოთხოვნილებაო.

**მექსიკო.** გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ამერიკის მოთხოვნილება სამხედრო სალამის მიცემისა, არ დაკმაყოფილება. დროშა არვის არ შეურაცხუყვია, ვინაიდან ბარკასზე ამერიკის დროშა არა სჩნდა, რომლის მოსამსახურენიც შეიპყრეს.

**მოუსტონი** (ტეხასის შტატი) მეორე დივიზია (10,000 კაცი) გაწვეულია გალვესტონში, სადაც ტრანსპორტი უკვე მზადაა.

**ლონდონი.** ქვედა პალატა. ულსტერში მთავრობის მიერ მიღებულ სამხედრო ზომების გამო ასკვიტისა და ბონარლოუს შორის ცხარე შეკამათება მოხდა. ნახევარი საათის განმავლობაში კრების დარბაზში ისმოდა ხმები პროტესტისა და მოწონებისა. ბონარ-ლოუ ითხოვდა სასამართლოს გამოძიებას მთავრობის მოქმედების გამო. ასკვიტმა უარით უპასუხა და წინადადება მისცა პალატის წინაშე გამოეთქვა ბრალდებანი. ბონარ ლოუ ამტკიცებდა მინისტრის განმარტებათა უსწორობას და აღნიშნავდა, რომ უეჭველად ჩვენება ფიც ქვეშე ჩამოართვანო. ასკვიტმა უპასუხა, ეს მტკიცება მინისტრების პატიოსნებას ეხება. პალატა ერთადერთი ადგილი; სადაც შეიძლება განმარტებათა მიცემა ასეთ განცხადებების შესახებ. დასასრულ ბონარლოუმ განაცხადა, რომ დაუცდი მთავრობის მხრივ საბუთების გამოქვეყნებას, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას დაადგებით იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ამ საკითხის გადაჭრის დროს ოპოზიციამ უნდა დაიკავოს.

**ვენა.** იმპერატორი ფრანც-იოსები მძიმედ არის ავად.

— „ალბანიშე-კორესპონდენც“-ს ვალონიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ კორიცის ჰოლანდიელ კომენდანტის ცნობებით, მან ლასკოვიკაში მყოფ ბერძენთა ჯარის უფროსისაგან დეპეშა მიიღო, რომ საბერძნეთის მთავრობის განკარგულებით საბერძნეთის ჯარები ლასკოვიკიდან მიჰყავთ.

**რომი.** ანკონაში რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ კომიტეტის გენერალურ საბჭოს საზოგადო კრებაზე გადასწყდა, საერთო გაფიცვა უარჰყონ. თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა გაფიცვა მალე დამთავრდება; ზოგიერთ ქარხანაში მუშაობა განახლდა.

**სტოკჰოლმი.** ორს ოლქში არჩევანები დასრულდა. ორივეში სამსამი დეპუტატს ირჩევენ ხოლმე. ახალ პალატაში ლიბერალებს მოეხდებათ სახელმწიფო დაცვის პარტიისათვის პირველი ადგილის დათმობა. ეხლა რეიხსტაგში მათ 84 მომხრე ჰყავთ, ლიბერალებსა და სოციალისტებს კი 70.

**ათინა.** ათინის სააგენტო იტყობინება, რომ სოფელ სულთანჩივლიოში (ოსმალეთის ფრაკია) ოსმალელი გაქცეულები წირვის დროს ბერძნულ ეკლესიაში შეიპარნენ, გაიტაცეს სამოსელი, წმინდა ჭურჭელი და სხვა. ოსმალებმა ქალები გააუპატიურეს. მცხოვრებნი პატრიარქს ევედრებიან, გვიშველეთო. ამბობენ, მიდიაში შავის ზღვის პირად სდგას გემი, რომელიც მზადაა მიიღოს მთავრობის მიერ განდევნილნიო. კირკკილისიდან იტყობინებიან, მურადმა სცემა ერთს მღვდელს; სოფელი იანდიკვარი სრულებით დაანგრიეს მძარცველებმა. ბუნარგასარას კაიმაკამმა 120 ურემი გაჰგზავნა განადგურებულ ბერძენთა სოფელ კარასალილის მცხოვრებთა გადმოსაყვანად.

**ბელგრადი.** სკუტარიში გამოჩენილ სერბიელ მოღვაწის ვუჩინიჩის მოკვლამ პოლიტიკურ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ჰფიქრობენ მკვლელობა ალბანეთის მთავრობის დასტურით მოხდა. ეს საქმე სერბიის წინააღმდეგ ალბანეთის ტერორის დასაწყისად მიაჩნიათ.

**ვაშინგტონი.** სენატი 7 აპრილს შეუდგა ვილსონის შუამდგომლობის განხილვას, მაგრამ სხდომები გადასდო, რადგანაც წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ ტექსტს ვერ შეუთანხმდნენ. ამასთანავე სენატმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამ საქმის განხილვის დროს ჰუერტას პიროვნება იყოს ჩარეული. გარეშე საქმეთა კომიტეტმა მოიწონა შემუშავებული რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვილსონ უფლება აქვს ისარგებლოს შეიარაღებული ძალებით, რათა განახორციელოს თავისი მოთხოვნილება იმ შეურაცხყოფის დასაკმაყოფილებლად, რომელიც მექსიკამ შეერთებულ შტატებს მიაყენა.

**მექსიკო.** ჰუერტა ირწმუნება, ყველა უცხოელს, მათ შორის ამერიკელებსაც, თავდები ეძლევათ, რომ მათი თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნებაო.

### რუსეთი

**რიგა.** გუბერნატორმა 4 აპრილის დემონსტრაციის გამო ექვსიდან ორ თვემდე დააპატიმრა თერთმეტი კაცი.

**სევასტოპოლი.** სახაზინო ნავთსადგურში დაიწვა გემების საწყობი.

**ფეოდოსია.** შავს ზღვაზე დიდი ღელვაა.

**პეტროპავლოვსკი** (კამჩატკაზე). გაიხსნა პირველი დიდი თეატრი. აღდგომა ღამეს მისიონერმა ნესტოროვმა კონაკებისა და ტუნგუზების ენაზე პირველად წაიკითხა სახარება.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ მცირე ანგარიშს.

დაბა გუდაუთს ეწვია სოხუმიდან ცირკი რეიხტერისა, რომელსაც ყოველ ღამე დიდძალი ხალხი აწყდება.

ქ.ქ. მ. საბაშვილისა და ბ. დადიანისა მოელაპარაკნენ ცირკის უფროსს და დაითანხმეს შემოსავლის ნახევრის დათმობაზე თუ ზემოხსენებული ქალები ბილეთებს გაჰყიდდენ; ფული უნდა წასულიყო ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გუდაუთის განყოფილების სასარგებლოდ. დიდი შრომა და ენერგია იკისრეს ქალბატონმა მ. საბაშვილისამ და ბ. დადიანისამ, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან. ვუსურვებ ორივეს საზოგადო სარბიელზე მუშაობას, იმ ენერგიით და სურვილით გაეტარებინოთ ბოლომდი და არ შეუშინდნენ ეკლიან გზაზე სვლას.

ბილეთები გაიყიდა სულ 160 მან. 60 კ., ღ. იოს. ქელბაქიანმა დაუთმო ლოჟა ღირებული 6 მან., კოწია ეგნატეს ძე ნარსიამ შესწირა 3 მან., ზოგიერთებმა ხურდა არ მიიღეს 4 მან. 92 კ., სულ 174 მან. 52 კ.

საქვ. მოქ. საქმ. 9 მან. 69 კ., მთელი შემოსავალი 164 მან. 82 კ.

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გუდაუთის განყოფილების სასარგებლოდ გადაიდვა მთელი შემოსავლის ნახევარი 82 მან. 41 კაპ.

**ნ. დათ. ზენაიშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ შემდეგ პირებს გამოუცხადოთ ჩვენი უღრმესი მადლობა, რომლებმაც კეთილ-ინებეს და გორდის სამკითხველოს აღმოუჩინეს შეწევნობა: მარგალიტა ივანეს ასული ჩემბერმა 3 მ., ბეგლარ ბარეასძე იოსავამ 1 მან., მიხეილ ლუკას ძე ჩიხლაძემ 1 მან., ბესარიონ ივანეს ძე კაკაბაძემ 1 მ., მელიტონ პეტრეს ჩიხლაძემ 1 მან., მღ. რომანოზ ჩიხლაძემ 1 მან., ვარლამ დავითის ძე ძიძიგურმა 2 მან. და 20 კ., ივანე სიმონის ძე სიკინჭილაშვილმა 50 კაპ., თ-დი მინა მიხ. ნიჟარაძემ 40 კ., ეკატერინა ზაქარიას ასულმა წერეთელმა 40 კ., შემდეგ პირებმან კეთილ-ინებეს და გამოუწერეს ხსენებულ სამკითხველოს ჟურნალ გაზეთები: ეკატერინე ესტატეს ასულმა ლიდიასამ გაზეთი „სახალხო გაზეთი“, კაპიტანი ალექსანდრე ესტატეს ძე იოსელიანმა ჩვეულებრივად ჟურნალი „ნაკადული“, ექიმმა ყარამან მანუჩარის ძე ჩიქოვანმა ჟურნალი „ჯეჯილი“, აზნაურმა იასონ გლახუას ძე ჩიქოვანმა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და მღ. რომანოზ ჩიხლაძემ გაზეთი „Биржевыя вѣдомости“ და ჟურნალი „Огонекъ“. აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ სამკითხველო-ბიბლიოთეკის უსასყიდლოდ ყურადღებისთვის აზნ. ერმინე ბეკოს ძე ჩიქოვანს.

გორდის სახალხო ბიბლიოთეკა სამკითხველოს გამგე მღ. **რომანოზ ჩიხლაძე**, გამგეობის მდივანი **ბეგლარ იოსავა.**

ბატონო რედაქტორო! ჩვენ მივიღეთ დიდი ჯიხაიშის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ ხელის მოწერით შეგროვილი კოლა შუბლაძის და არჩილ კეკელიძის მიერ 19 მან. და 55 კ. გთხოვთ უმორჩილესად, ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთით მადლობა გამოვუცხადოთ როგორც შემკრებლებს, აგრეთვე ყველა იმათ, ვინც კეთილ ინება და თავიანთ წვლილი არ დაიშურა ჩვენს სამკითხველოსთვის.

შემომწირველთა სია: თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი 3 მ., თითო მანეთი: აპ. ზ. ქუთათელაძე, ა. ალ. მიმინოშვილი, პარმენ დ. მაჭარაშვილი, გაბრიელ, ა. შანშიაშვილი, თ ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონ დავითიშვილი, გ. დ. მაჭარაშვილი, გრ. ტაბატაძე. ათ-ათი შაური: ს. ბაბუნაშვილი, ლ. მგალობლიშვილი, არ. კეკელიძე, ილო მირიანაშვილი, კო ყაჩაღი, ი. კაკაბაძე, ალ. მესხი, ნიკ. დიმიტრის ძე ალექსანდროვი, იპ. ფ. კოველაშვილი, ს. მანჯიგალაძე, გ. გვერდწითელი, კალ. წოწონავა, არ. ხითარაშვილი, პ. გოქარაშვილი და მღ. ეპ. სხირტლაძე ნ. თაბუკაშვილმა 25 კ., მიშა არსენიშვილმა 30 კ., მიტროფანე ქლენტმა 20 კ., გიორგი ტატიშვილმა 30 კ., სულ ჯამი 19 მან. 55 კაპ.

დიდი ჯიხაიშის სამკითხველოს გამგეობის წევრი **ლევან ჭილაძე.**

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მარდის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711“.

ნაჭერი 25 კ.

ერთადერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულგენსისა. პარფიუმერია კელნი, რიგა.

1020 Метцль. 547912.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა სადამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ყველგან მოითხოვეთ
„ამაზმორინ“-ი,
უებარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა
ა. ე. ისააკიანცისა.
ეს ფხვიერი ყოვლად უვნებელია.
საუკეთესო მოწონების ბარათები გვაქვს.
ფასი 20 კ.
**საწყობები:** ძმ. ტერტეროვების სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 219

ყველა წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ახალი წიგნი
**ქართველი პოეტების**
ლექსები, ნათარგმნი ნ. ე. მ. (რეულო) (აბაშელი, აბაშიძე, ახოსპირელი, ბარათაშვილი, განდეგილი, გრიშაშვილი, გურიელი, მაყაშვილი, მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, რუხაძე, ა. წერეთელი, ა. და ი. ჭავჭავაძე, ჭოლადიდელი, შანშიაშვილი, ევდოშვილი და რ. ერისთავი)
ფასი 1 მან. 25 კაპ. 217



ფეხსაცმელების მაღაზია
თომა დ.
ჯანყარაშვილის
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია სააღდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავისა **ქალებისა, ვაჟებისა და ბავშვების.**
ფასები საქარხნოა. აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172.

ექიმი მ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11\frac{1}{2}$ საათამდე. ოლღი მთავრის ქუჩა № [illegible]

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. [illegible]
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. ავახაროვა: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ბაბანახოვა: 10—11 ს. [illegible], ქალებისა და ბავშვებისა.
მ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარამეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-ლაზარევისა: 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1071

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

მაღაზია
„ექსელანს“-ი
სავ. სახ. ქ. ე. და ა. დ. აკოფჯანოვებისა და ამხ.
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი მანთაშევისა, საზოგადოების საკრებულოს ქვეშ. ტელეფონი № 696.
რადგანაც მივიღეთ დიდ-ძალი შეკერილი რჩეული ტანისამოსი კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
აღდგომის მოახლოვებისა გამო დავნიშნეთ
უდიდესი იაფი ვაჭრობა
მეტის-მეტად იაფად. გარდა ამისა მიღებული გვაქვს
დიდ-ძალი რჩეული საქონელი,
რუსეთული და საზღვარ-გარეთული საქონელი, ყოველ-გვარ შეკვეთისათვის, რომელიც გამოცდილ გამომჭრელისა მეთვალყურეობით სრულდება.
საშური შეკვეთას 24 საათის განმავლობაში ვასრულებთ. საქონლისა სიიაფეში და აურაცხველ რჩეულ საქონლის ღირსებაში გთხოვთ თვითონ დარწმუნდეთ.
ფასები შეუვაჭრებლად.

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.